

ტრენინგი მწვანე ეკონომიკაში ჟურნალისტებისა და სტუდენტებისთვის

ნოემბერი-დეკემბერი, 2021

ISET



Norwegian Ministry
of Foreign Affairs

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, იწყებს **ტრენინგების პირველ სერიას მწვანე ეკონომიკაში ჟურნალისტებისათვის.**

კურსში მონაწილეობა უფასოა. გვსურს განსაკუთრებით წავახალისოთ ჟურნალისტები და სტუდენტები, რომლებიც რეგიონებში მუშაობენ, ასევე, ქალები და უმცირესობების წარმომადგენლები.

კურსის ხანგრძლივობა: 18 საათი, 22 ნოემბერი - 27 დეკემბერი, 2021.

შენიშვნა: კოვიდ-19-ის პანდემიის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველა აქტივობა ჩატარდება ონლაინ.

ლექციები ჩაინერება და ხელმისაწვდომი იქნება ყველა სესიის შემდგომ.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეებს გადაეცემათ მწვანე ეკონომიკაში ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

კურსის სტრუქტურა

კურსის ერთი ნაწილი დაეხმარება მონაწილეებს საბაზისო ცოდნის შეძენასა და მწვანე ეკონომიკის მიმართულებით არსებული მნიშვნელოვანი საკითხების გაგებაში. მეორე ნაწილი კი დაეთმობა პრაქტიკულ სესიებს, სიტუაციურ ანალიზსა და საერთაშორისო გამოცდილებიდან მიღებულ მაგალითებზე დისკუსიას ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

კურსის ფარგლებში **მონაწილეები იმუშავენ ბლოგების/სტატიების სამუშაო ვერსიებსა და/ან რადიო/სატელევიზიო სიუჟეტებზე.**

ყველა სესიას, განხილული თემის შესაბამისად, დაესწრება სხვადასხვა სამინისტროდან მონვეული სტუმარი და/ან დარგის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც უპასუხებს დასმულ კითხვებს.

შენიშვნა: სალექციო სესია ჩატარდება ორშაბათს ან სამშაბათს საღამოს საათებში, ხოლო პრაქტიკული სესია ხუთშაბათს ან პარასკევს საღამოს საათებში. გთხოვთ, განაცხადის შევსებისას მიუთითოთ თქვენთვის სასურველი გრაფიკი.

კურსის მიზანი

ამ ინიციატივის მთავარი მიზანია, გააძლიეროს ქართველი ჟურნალისტების შესაძლებლობები, გაიგონ და თავისუფლად იმსჯელონ მწვანე, ცირკულარული, კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის ეკონომიკის განვითარების პოლიტიკის სირთულეებზე. ასევე, განიხილონ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ კონკრეტულ გარემოსდაცვით და ენერგეტიკულ პოლიტიკასთან დაკავშირებული თემები.

ტრენინგის შემდგომ მონაწილეებს მეტი წარმოდგენა ექნებათ ამ თემებზე და შესაძლებლობა მიეცემათ, უფრო ეფექტიანად შეაგროვონ, დაამუშავონ და გაავრცელონ ინფორმაცია ამ საკითხების შესახებ.

შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცნობიერების ზრდის ინიციატივის გავლენის მასშტაბების ზრდის გამო **ტრენინგები გამიზნულად შემუშავდა კონკრეტულად ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის სტუდენტებისათვის.**

რას ისწავლით

მონაწილეები მიიღებენ მწვანე ეკონომიკის კონცეფციის, ენერგეტიკული ბაზრების, გარემოს ეკონომიკის, ეკოსისტემური სერვისების, ცირკულარული ეკონომიკისა და კლიმატის ცვლილების თემებზე საბაზისო **თეორიულ ცოდნას**. ამასთან, განივითარებენ პრაქტიკულ უნარებს, თუ როგორ უნდა მოიძიონ საჭირო მონაცემები და/ან ინფორმაცია და მის საფუძველზე შექმნან მწვანე ეკონომიკის თემატიკის ბლოგები, სტატიები და რადიო/სატელევიზიო სიუჟეტები. მონაწილეები ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის დახმარებით შეაჯამებენ ტრენინგს ამ საკითხებზე ბლოგის, სტატიის შემუშავებისა და/ან რადიო/სატელევიზიო ინტერვიუების წარდგენის საშუალებით.

შერჩევის პროცესი:

განცხადებების მიღება დაიწყება **21 ოქტომბერს** და გაგრძელდება **21 ნოემბრის** საღამომდე.

საჭირო დოკუმენტებია (პირველადი სიისთვის):

- ა) სამოტივაციო წერილი, რომელშიც მოკლედ აღწერთ, რატომ გინდათ კურსზე დასწრება
- ბ) რეზიუმე

შერჩეული კანდიდატები შეტყობინებას მიიღებენ 22 ნოემბრამდე.

ლექციები დაიწყება 2021 წლის 22 ნოემბერს.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, მითითებული საბუთები გამოგზავნოთ ელ-ფოსტაზე: trainings@iset.ge, სათაურის ველში კი მიუთითოთ „ტრენინგი მწვანე ეკონომიკაში“.

ტრენერები



ნორბერტო პინიატი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტი და ენერგეტიკის, გარემოსა და შრომის ეკონომიკის მიმართულებით მუშაობს. 2009 წელს იგი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ფაკულტეტის წევრი გახდა, 2016 წლიდან კი ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევით ცენტრს ხელმძღვანელობს ISET-ის კვლევით ინსტიტუტში. ნორბერტო ISET-ის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე რამდენიმე კურსს ასწავლის, მათ შორის ენერგეტიკული ბაზრების ეკონომიკას. 2009 წლამდე იგი OECD-ის განვითარების ცენტრში, მსოფლიო ბანკსა და ბოლონიის უნივერსიტეტში მუშაობდა. მას განვითარებისა და ენერგეტიკის ეკონომიკაში სწავლებისა და ტრენინგების 15-წლიანი გამოცდილება აქვს.

ნორბერტომ 2007 წელს მიიღო ბოლონიის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ეკონომიკის მიმართულებით, მანამდე კი განვითარების, ინოვაციებისა და ცვლილებების მაგისტრის ხარისხი ამავე უნივერსიტეტიდან. მას აქვს ბოლონიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფინანსების საპატიო წოდებაც (მაგისტრის ეკვივალენტი). ნორბერტოს აქვს კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის კვლევების სერტიფიკატი. მისი კვლევის ინტერესებია: შრომის ბაზრის პოლიტიკა, ენერგეტიკა, გარემოს პოლიტიკა და მდგრადი განვითარება.



მაიკლ ლუკანი

არის ენერგეტიკის, კლიმატის ცვლილების ეკონომისტი და ფიზიკოსი. 2020 წლიდან ის ISET-ში კლიმატის ცვლილების ეკონომიკის მოწვეული პროფესორია. ის კლიმატის ზემოქმედების პოსტდამის ინსტიტუტში მკვლევარი იყო და მუშაობდა კლიმატის შერბილების სტრატეგიებისა და მისი ეკონომიკური ზემოქმედების მოდელზე დაფუძნებულ ანალიზზე. მაიკლს აქვს კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით სწავლებისა და ტრენინგების 4-წლიანი გამოცდილება.

მაიკლი ფლობს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს ფიზიკაში და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს ეკონომიკაში. მისი კვლევის ინტერესებია: ტექნოლოგიური გაურკვევლობის პირობებში ნახშიროჟანგის გამონაბოლქვის შემცირების პოლიტიკის სტრატეგიული შეფასება და ციფრული დიდაქტიკა უმაღლეს განათლების სისტემაში.



ლევან ფავლენიშვილი

არის ენერგეტიკის და გარემოს ეკონომისტი და ოპერაციული მკვლევარი. ის ISET-ში ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზს ასწავლის და დამოუკიდებელი კონსულტანტია ოპერაციულ კვლევაში. 2014-2020 წლებში ლევანი ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ენერგეტიკისა და გარემოს პოლიტიკის კვლევითი ცენტრის უფროსის მოადგილე იყო. იგი 6 წელზე მეტია ასწავლის და ტრენინგებს ატარებს, მათ შორის რესურსების, გარემოს და ეკოსისტემური სერვისების საკითხებში.

ლევანს აქვს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი და ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი ოპერაციულ კვლევებში. ლევანის კვლევის ინტერესებს წარმოადგენს ელექტროენერგიის ბაზრის ლიბერალიზაცია, განახლებადი რესურსების ქვიან ელექტროენერგიის გადამცემ ხაზებზე დაერთება და ელექტროენერგიის სისტემების მათემატიკური მოდელირება.



ქეთევან ბოჭორიშვილი

გარემოს ეკონომისტი, ეკონომეტრიკოსი და მონაცემთა მეცნიერია. ის 2020 წლიდან ISET-ში ცირკულარული ეკონომიკის მოწვეული ლექტორია. 2017-2020 წლებში ნარჩენების მართვის და ცირკულარული ეკონომიკის საკითხებში კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელში (CENN) მუშაობისას უძღვებოდა საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაციის საქმიანობას. მას სწავლებისა და ტრენინგების 4-წლიანი გამოცდილება აქვს, მათ შორის ცირკულარული და გარემოს დაცვის ეკონომიკის მიმართულებით.

ქეთევანი ფლობს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს. ამჟამად იგი კონცენტრირებულია სწავლებასა და კონსულტაციებზე მონაცემთა ვიზუალიზაციის მიმართულებით.



მარიამ ლობჯანიძე

ენერგეტიკის, გარემოს და გენდერის ეკონომისტია. 2018 წლიდან ის ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ენერგეტიკისა და გარემოს პოლიტიკის კვლევითი ცენტრის მკვლევარია. ამჟამად უფროსი მკვლევარის პოზიციაზე მუშაობს. ის ასწავლის ეკონომიკის კურსს ISET-ის საბაკალავრო პროგრამაზე. მას 4 წელზე მეტი სწავლების და ტრენინგების გამოცდილება აქვს. მას უმუშავია წყლის რესურსების მართვის, ენერგეტიკული ბაზრის ანალიზის, ნარჩენების მართვის და კლიმატის ცვლილების მოდელირების მიმართულებით.

მარიამი ფლობს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს. მის კვლევით ინტერესს წარმოადგენს გენდერული ზეგავლენის შეფასება, რეგულირების ზეგავლენის შეფასება, კლიმატის ცვლილება და გარემოს ეკონომიკა.



მარიამ წულუკიძე

მარიამ წულუკიძე ენერგეტიკისა და გარემოს ეკონომისტი. 2018 წლიდან ის ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ენერგეტიკისა და გარემოს პოლიტიკის კვლევითი ცენტრის მკვლევარია. ამჟამად უფროსი მკვლევარის პოზიციაზე მუშაობს. მარიამი ISET-ის საბაკალავრო პროგრამაზე ეკონომიკის კურსს ასწავლის. მას 4 წელზე მეტი სწავლების და ტრენერობის გამოცდილება აქვს. მას უმუშავია წყლის რესურსების მართვის, ენერგეტიკული ბაზრის ანალიზის, განახლებადი წყაროების ეკონომიკის, ნარჩენების მართვის და კლიმატის ცვლილების მოდელირების მიმართულებით.

მარიამი ფლობს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს. მის კვლევით ინტერესს წარმოადგენს რეგულირების ზეგავლენის შეფასება, ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია, განახლებადი წყაროების სისტემაში ინტეგრაცია, ენერგოეფექტიანობა, ენერგოუსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება და გარემოს ეკონომიკა.